სს ნიკორა

კონსოლიდირებული შუალედური
არა-აუდირებული
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 30 ივნისს დასრულებული ექვსი თვისთვის

სარჩევი

კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული შუალედური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარ კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული შუალედური ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული შუალედური ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7
კონსოლიდირებული შუალედური მმართველობითი ანგარიშგება	21

კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

000 ლარი	30.06.2024	31.12.2023	30.06.2023	31.12.2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
გუდვილი	43,618	43,618	43,618	43,618
ძირითადი საშუალებები	252,330	237,723	192,128	165,594
აქტივების გამოყენების უფლება	147,968	146,552	132,533	118,196
არამატერიალური აქტივები	7,909	7,089	6,942	6,340
ბიოლოგიური აქტივები	1,474	1,361	1,330	1,121
ძირითადი საშუალებების მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები და სხვა გრძელვადიანი აქტივები	11,918	7,482	2,466	2,463
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივად კონტროლირებად კომპანიებში	13,854	8,453	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	**479,071**	**452,278**	**379,017**	**337,332**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	163,426	167,197	148,746	128,815
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	42,889	37,916	36,305	32,838
ერთობლივად კონტროლირებად კომპანიაზე გაცემული სესხები	-	325	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	20,061	20,814	22,340	39,804
სულ მიმდინარე აქტივები	**226,376**	**226,252**	**207,391**	**201,457**
სულ აქტივები	**705,447**	**678,530**	**586,408**	**538,789**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	6,471	6,471	6,471	6,471
პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი	21,620	21,620	19,463	19,546
გამოსყიდული საკუთარი აქციები	(417)	(417)	(501)	(501)
გადაფასების რეზერვი	32,764	34,545	24,024	24,081
დაგროვილი მოგება	134,404	132,960	106,199	76,562
არამაკონტროლებელი წილი	6,253	4,015	4,840	3,794
სულ კაპიტალი	**201,095**	**199,194**	**160,496**	**129,953**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ობლიგაციები და სესხები	100,856	78,285	99,658	94,636
საიჯარო ვალდებულებები	108,391	110,895	106,239	88,178
გადავადებული შემოსავალი	2,537	2,537	2,537	2,537
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**211,784**	**191,717**	**208,434**	**185,351**
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	193,665	201,774	179,039	166,194
ობლიგაციები და სესხები	57,065	53,040	17,864	31,023
საიჯარო ვალდებულებები	41,838	32,805	20,575	26,268
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**292,568**	**287,619**	**217,478**	**223,485**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**705,447**	**678,530**	**586,408**	**538,789**

ირაკლი ბოქოლიშვილი
გენერალური დირექტორი

ირაკლი გეჯაძე
ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

000 ლარი	30.06.2024	31.12.2023	30.06.2023	31.12.2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
გუდვილი	43,618	43,618	43,618	43,618
ძირითადი საშუალებები	252,330	237,723	192,128	165,594
აქტივების გამოყენების უფლება	147,968	146,552	132,533	118,196
არამატერიალური აქტივები	7,909	7,089	6,942	6,340
ბიოლოგიური აქტივები	1,474	1,361	1,330	1,121
ძირითადი საშუალებების მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები და სხვა გრძელვადიანი აქტივები	11,918	7,482	2,466	2,463
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივად კონტროლირებად კომპანიებში	13,854	8,453	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	**479,071**	**452,278**	**379,017**	**337,332**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	163,426	167,197	148,746	128,815
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	42,889	37,916	36,305	32,838
ერთობლივად კონტროლირებად კომპანიაზე გაცემული სესხები	-	325	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	20,061	20,814	22,340	39,804
სულ მიმდინარე აქტივები	**226,376**	**226,252**	**207,391**	**201,457**
სულ აქტივები	**705,447**	**678,530**	**586,408**	**538,789**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	6,471	6,471	6,471	6,471
პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი	21,620	21,620	19,463	19,546
გამოსყიდული საკუთარი აქციები	(417)	(417)	(501)	(501)
გადაფასების რეზერვი	32,764	34,545	24,024	24,081
დაგროვილი მოგება	134,404	132,960	106,199	76,562
არამაკონტროლებელი წილი	6,253	4,015	4,840	3,794
სულ კაპიტალი	**201,095**	**199,194**	**160,496**	**129,953**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ობლიგაციები და სესხები	100,856	78,285	99,658	94,636
საიჯარო ვალდებულებები	108,391	110,895	106,239	88,178
გადავადებული შემოსავალი	2,537	2,537	2,537	2,537
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**211,784**	**191,717**	**208,434**	**185,351**
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	193,665	201,774	179,039	166,194
ობლიგაციები და სესხები	57,065	53,040	17,864	31,023
საიჯარო ვალდებულებები	41,838	32,805	20,575	26,268
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**292,568**	**287,619**	**217,478**	**223,485**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**705,447**	**678,530**	**586,408**	**538,789**

ირაკლი ბოქოლიშვილი
გენერალური დირექტორი

ირაკლი გეჯაძე
ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული შუალედური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

000 ლარი	2024 H1	2023 H1
ამონაგები	677,831	604,936
გაყიდვების თვითღირებულება	(481,001)	(427,563)
საერთო მოგება	**196,830**	**177,373**
სხვა შემოსავალი	2,703	521
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(143,072)	(112,288)
ადმინისტრაციული ხარჯები	(24,699)	(20,837)
სხვა მოგება ნეტო	521	372
ფინანსური შემოსავალი	401	1,303
ფინანსური ხარჯები	(13,529)	(12,356)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან ნეტო	(7,900)	2,603
მოგება დაბეგვრამდე	**11,255**	**36,691**
მოგების გადასახადის ხარჯი	(1,385)	(1,245)
პერიოდის მოგება	**9,870**	**35,446**
სხვა სრული შემოსავალი		
მიწების, შენობების და გრძელვადიანი ნარგავების გადაფასება	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	**9,870**	**35,446**
პერიოდის მოგება მიკუთვნებული:		
მფლობელებსა და მშობელ კომპანიაზე	9,732	34,560
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებზე	138	886
პერიოდის სრული შემოსავალი მიკუთვნებული:		
მფლობელებსა და მშობელ კომპანიაზე	9,732	34,560
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებზე	138	886

საკუთარ კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული შუალედური ანგარიშგება

	ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი	სახაზინო აქციები	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებს	არამაკონტროლებელი წილი	სულ
31 დეკემბერი 2022	**6,471**	**19,546**	**(501)**	**24,081**	**76,562**	**126,159**	**3,794**	**129,953**
პერიოდის მოგება					34,560	**34,560**	886	**35,446**
რეალიზებული აქტივის რეზერვის გადატანა				(39)	39	-		-
გაუნაწილებელ მოგებაში ოპრაციები				(18)	2,161	**2,143**	160	**2,303**
არამაკონტროლებელ წილთან								
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციაზე					(6,515)	**(6,515)**		**(6,515)**
დივიდენდი პრივილეგირებულ აქციაზე					(608)	**(608)**		**(608)**
აქციების გამოსყიდვა		(83)				**(83)**		**(83)**
30 ივნისი 2023	**6,471**	**19,463**	**(501)**	**24,024**	**106,199**	**155,656**	**4,840**	**160,496**
31 დეკემბერი 2023	**6,471**	**21,620**	**(417)**	**34,545**	**132,960**	**195,179**	**4,015**	**199,194**
პერიოდის მოგება					9,732	**9,732**	138	**9,870**
რეალიზებული აქტივის რეზერვის გადატანა				(1,781)	1,781	-		-
გაუნაწილებელ მოგებაში ოპრაციები					(1,758)	**(1,758)**	2,516	**758**
არამაკონტროლებელ წილთან								
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციაზე					(7,602)	**(7,602)**		**(7,602)**
დივიდენდი პრივილეგირებულ აქციაზე					(709)	**(709)**		**(709)**
დივიდენდი არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე						-	(416)	**(416)**
30 ივნისი 2024	**6,471**	**21,620**	**(417)**	**32,764**	**134,404**	**194,842**	**6,253**	**201,095**

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული შუალედური ანგარიშგება

000 ლარი	2024 H1	2023 H1
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
პერიოდის მოგება დაბეგვრამდე	**11,255**	**36,691**
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	31,761	26,076
ფინანსური ხარჯი	13,529	12,356
მარაგების გაუფასურება	9,247	8,755
ფინანსური შემოსავალი	(401)	(1,303)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	7,900	(2,603)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(4,973)	(3,467)
მარაგების ზრდა	2,836	(21,714)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	(6,609)	10,845
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	**64,236**	**65,636**
გადახდილი პროცენტები	(13,529)	(12,356)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,385)	(1,245)
ფინანსური შემოსავალი	401	1,303
წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	**50,032**	**53,338**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(48,659)	(47,054)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(817)	(562)
ცვლილება საიჯარო აქტივებში		
შვილობილ საწარმოში ინვესტიციის ცვლილება	(5,299)	2,907
ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	**(54,775)**	**(44,709)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სხვა ფინანსური აქტივების ცვლილება		
სესხებზე და ობლიგაციებზე მიღებული/(გადახდილი) ფული	25,642	(7,760)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(13,704)	(12,262)
გადახდილი დივიდენდები	(8,015)	(7,123)
საკუთარი აქციების გაყიდვა/(გამოსყიდვა)	-	1,044
წმინდა ფულადი სახსრების გადინება ფინანსური საქმიანობიდან	**3,923**	**(26,101)**
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**(820)**	**(17,472)**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**20,814**	**39,804**
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა	67	8
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**20,061**	**22,340**

კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

სს ,,ნიკორა“ თავის შვილობილ კომპანიებთან ერთად („ჯგუფი“) არის წამყვანი საკვებ პროდუქტების მწარმოებელი და საცალო გაყიდვების ოპერატორი საქართველოს ბაზარზე. სს ,,ნიკორა“, ჯგუფის მშობელი კომპანია, 1998 წელს დაფუძნდა საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მის თავდაპირველ ბიზნეს საქმიანობას მხოლოდ ხორც-პროდუქტების წარმოება წარმოადგენდა. ჯგუფი ამჟამად ფლობს საცალო ვაჭრობის მაღაზიათა ქსელს საქართველოში, ასევე აწარმოებს საკვებ პროდუქტებს, ფლობს საკუთარ იმპორტსა სადისტრიბუციო ქსელს საქართველოში და ეწევა სოფლის მეურნეობის საქმიანობას. სს ,,ნიკორა“-ს რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ა. მრევლიშვილის ქუჩა N2.

2. შედგენის საფუძველი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება არა-აუდირებულია და ეფუძნება მენეჯმენტის გათვლებს.

2.1 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს ჯგუფის ოპერაციებისა და ჯგუფის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ვინაიდან ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ასეთი წარდგენა უფრო მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში, დამრგვალებულია ათასამდე სიზუსტით.

2.2 შვილობილი კომპანიები

2024 წლის 30 ივნისის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ მოქმედ შვილობილ კომპანიებს:

დასახელება	30.06.24	31.12.23	საქმიანობის სფერო
სს ნიკორა ტრეიდი	97%	97%	საცალო გაყიდვა
შპს ნიკორა	100%	100%	ხორცპროდუქტების წარმოება
შპს კორიდა	100%	100%	ხორცპროდუქტების წარმოება
შპს პარტნიორი	100%	100%	დისტრიბუცია
შპს ოკეანე	100%	100%	ზღვის პროდუქტების წარმოება
შპს ჩვენი ფერმერი	100%	100%	რძის პროდუქტების წარმოება
შპს მულტიტრეიდი	100%	100%	იმპორტი
შპს მზარეული 1	80%	80%	პურპროდუქტების წარმოება
შპს ინტრეიდი	100%	100%	იმპორტი
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	100%	100%	ვენახები
შპს ვაკიჯვრის კალმახი	94%	94%	კალმახის ფერმა
შპს კულინარი	100%	50%	სალათების წარმოება
შპს ნიკორა ბაკურიანი	50%	50%	უძრავი ქონება
შპს მილა საქართველო	50%	50%	ვაჭრობა
შპს რეფ ელი	50%		უძრავი ქონება

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაბნევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციული ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება

3.2 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;

- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

3.3 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

3.5 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.6 გუდვილი

გუდვილი წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც ინდივიდუალურად არ არის განსაზღვრული და დამოუკიდებლად აღიარებული. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გუდვილი განაწილებულია იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენენ ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს, რომელ დონეზეც ხელმძღვანელობა ახდენს გუდვილის მონიტორინგს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც ხდება გუდვილის მიკუთვნება გაუფასურებაზე ტესტირდება წელიწადში ერთხელ მაინც. გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე თავდაპირველად ამცირებს იმ გუდვილის მიმდინარე ღირებულებას, რომლიც მიკუთვნებულია ასეთ ერთეულზე. დარჩენილი გაუფასურების ზარალი პროპორციულად ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალ სხვა აქტივებზე. გუდვილის გაუფასურების აღდგენა შემდგომ პერიოდებში არ ხდება.

3.7 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, საქონლის მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით.

ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება ისეთი ინტერვალით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს გარემოებების არსებითად ცვლილებას, რეალური ღირებულება ფასდება ყოველწლიურად.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება. გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების სხვა ჯგუფები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომიგამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ დასახულ მიზნებს. ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

	მომსახურების წელი
შენობები	5 - 70
მანქანა–დანადგარები	2 - 25
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3 - 20
ავეჯი, ოფისის და სხვა აღჭურვილობა	1 - 20
ტრანსპორტი	2 - 10

ვენახები

ნაყოფის მომცემი კულტურა არის მცენარე, რომელიც (ა) გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, ან მისაღებად; (ბ) მოსალოდნელია, რომ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოიწევს ნაყოფს; და (გ) მცირეა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით მისი გაყიდვის ალბათობა, ნარჩენების სახით თანმდევი გაყიდვების გარდა. გრძელვადიანი ნარგავები საწყისად არიარდება თვითღირებულებით და შემდეგ გადაფასებული ღირებულებით. გადაფასებული ღირებულებით აღრიცხული გრძელვადიანი ნარგავების პოლიტიკა შეესაბამება გადაფასებული ღირებულებით აღრიცხული ძირითადი საშუალებების პოლიტიკას. გრძელვადიანი ნარგავები ცვდება 30 წლის მომსახურების ვადაზე.

3.8 ბიოლოგიური აქტივი

ჯგუფი ცხოველებს თევზების სახით. ჯგუფი ბიოლოგიური აქტივს აღიარებს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც: ა) ჯგუფი აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად; ბ) მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა ან ჯგუფიდან გასვლა; და გ) შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

თევზები

ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასებულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ბიოლოგიური აქტივის გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისა და ასევე გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ჩართულ უნდა იქნეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

3.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 1-15 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

3.10 იჯარა

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება;
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას; და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

ა) ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მისაღები წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით

გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;

დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას

ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

საიჯარო გადახდები მოიცავს გარკვეულ არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადახდებს. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები ისეთი გადახდებია, რომლებიც ფორმის მიხედვით შეიძლება ცვალებადობას ითვალისწინებდეს, მაგრამ, თავისი არსით, გარდაუვალი გადახდებია. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც გადახდები იმგვარადაა სტრუქტურირებული, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდები, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი არ არის ნამდვილი ცვალებადობა. ამგვარი გადახდები მოიცავს ისეთ ცვალებად პირობებს, რომლებსაც რეალური ეკონომიკური შინაარსი არ გააჩნია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება საიჯარო ხელშეკრულების ვადას დამატებული ხელმძღვანელობის მიერ გაგრძელების უფლების შეფასების პერიოდზე. აქტივის გამოყენების უფლების პერიოდი მოიცავს 1-12 წელს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება გამოყენების სფერო და ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად

შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა აფასებს ხელშეკრულების ფიქსირებულ ფასს და არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელებს.

მოკლევადიანი იჯარა, ცვლადი საიჯარო გადახდები და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარის მიმართ გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც ასახული არ არის საიჯარო ვალდებულების შეფასებაში იმ პერიოდში, წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც წარმოიშვა ამ გადახდების გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

3.11 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით. ჯგუფი იყენებს წარმოების ფაქტობრივ დონეს, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნებელი მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლურობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების განსაკუთრებულად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ ოდენობით მცირდება, რომ არ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს

3.12 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

3.13 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად: „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები). ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს და ბანკში არსებულ თანხებს.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: სესხებს და ობლიგაციებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.14 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით, რომელიც 2024 წლის 30 ივნისისთვის ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8101 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.0082 ლარს (2023 წლის 30 ივნისისთვის 2.6177 და 2.8591 შესაბამისად); 2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი და ერთი ევრო 2.9753 ლარი (2022 წლის 31 დეკემბერი 2.7020 და 2.8844 შესაბამისად). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება პერიოდის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.
საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.15 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

3.16 სააქციო კაპიტალი, სახაზინო აქციები და არაკამონტროლებელი წილი

სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია ჯგუფის მფლობელების მიერ. სააქციო კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს, რომელსაც აქვს ხმის უფლება და არაგამოსყიდვად პრივილეგირებულ აქციებს, რომელსაც არ აქვს ხმის უფლება. პრივილეგირებული აქციები აღირიცხება სააქციო კაპიტალში, როდესაც გადასახდელი დივიდენდების ოდენობა განისაზღვრება ემიტენტის შეხედულებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აღირიცხება ვალდებულებად.

აქციების გაყიდვით მიღებული ანაზღაურება ფასდება რეალური ღირებულებით. ნომინალურ ღირებულებაზე ნამეტით გამოშვებული და გაყიდული აქციებიდან მიღებული თანხები აღირიცხება, როგორც გაუნაწილებელი მოგება, ხოლო აქციების გამოსყიდვაში ნომინალურ ღირებულებაზე მეტი თანხის გადახდა აღირიცხება, როგორც გაუნაწილებელი მოგება. ჯგუფი მფლობელებისგან

გამოსყიდულ აქციებს, შემდგომი გაყიდვის მიზნებისთვის აღიარებს გამოსყიდული საკუთარი აქციების მუხლში. იმ შემთხვევაში თუ გამოსყიდვის შემდეგ ჯგუფი აუქმებს აქციებს, აღირიცხება, როგორც სააქციო კაპიტალის შემცირება.

არამაკონტროლებელი წილი არის წილობრივი მონაწილეობა შვილობილ კომპანიებში, რომელიც არ არის ჯგუფის მფლობელობაში. ანგარიშგების თარიღისთვის, არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს არამაკონტროლებელი აქციონერების წილს შვილობილი კომპანიების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში, შესყიდვის თარიღისთვის, და შესყიდვის თარიღის შემდგომ, უმცირესობის წილს კაპიტალის მოძრაობაში. არამაკონტროლებელის მონაწილეობა წარმოდგენილია კაპიტალის მუხლებში. ზარალი, რომელიც განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე არ აღემატება არამაკონტროლებელ წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი განაწილებულია ჯგუფზე.

შვილობილ საწარმოში მშობელი საწარმოს საკუთრების წილის დონეში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვას, აისახება როგორც საკუთარ კაპიტალზე შესრულებული ოპერაციები.

3.17 დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

4. კაპიტალი და რეზერვები

4.1 სააქციო კაპიტალი

აქციონერები 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდენილია ცხრილში:

აქციონერი	**აქციების რაოდენობა '000**	**ღირებულება '000 ₾**	**აქციის ტიპი**	**ხმის უფლება %**
სუხიაშვილი ვასილ	1,488	1,488	ჩვეულებრივი	24.6
GREENMOON LTD	861	861	ჩვეულებრივი	14.2
დუმბაძე დავით	679	679	ჩვეულებრივი	11.2
გუბანოვი ოლეგ	647	647	ჩვეულებრივი	10.7
ცირეკიძე თალიკო	582	582	ჩვეულებრივი	9.6
სალუქვაძე მაკა	388	388	ჩვეულებრივი	6.4
ცერცვაძე გურამ	324	324	ჩვეულებრივი	5.4
სს ,,ნიკორა" (საკუთარი (სახაზინო) აქციები)	417	417	ჩვეულებრივი	
სხვა	1,085	1,085	ჩვეულებრივი	17.9
სულ	**6,471**	**6,471**		**100.0**

აქციონერი	**აქციების რაოდენობა '000**	**ღირებულება '000 ₾**	**აქციის ტიპი**	**ხმის უფლება %**
ისაევი ანდრეი	78	12,248	პრივილეგირებული	-
Pelicans venture corp	20	2,692	პრივილეგირებული	-
ვაჩნაძე გიორგი	13	1,602	პრივილეგირებული	
ნიჟარაძე ტარას	10	1,430	პრივილეგირებული	-
სს ,,ნიკორა" (სახაზინო აქციები)	8	-	პრივილეგირებული	

მაზიაშვილი არჩილ	6	498	პრივილეგირებული	-
სს ,,გალთ ენდ თაგარტი" (ნომინალური მფლობელი)	5	612	პრივილეგირებული	-
სხვა	20	2,538	პრივილეგირებული	-
სულ	**160**	**21,620**		-

ჯგუფის სათაო კომპანიის, სს ,,ნიკორა"-ს, სააქციო კაპიტალი 2024 წლის 30 ივნისისთვის მოიცავს 6,471 ათას ცალ ჩვეულებრივი კლასის აქციას, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 160 ცალ (რომელთაგანაც განთავსებულია 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 152 ცალი) ცალ პრივილეგირებულ აქციას, რომლებიც გამოშვებულია 50,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით. განთავსებული ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები სრულად ანაზღაურებულია.

ჩვეუბლებრივი აქციის მფლობელებს არ გააჩნიათ უფლება ფიქსირებულ შემოსავალზე. ხმის უფლებები ნაწილდება განთავსებული აქციების პროპორციულად. ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს აქვთ უფლება მიიღონ კომპანიის მიერ გამოცხადებული დივიდენდი.

არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციების მფლოფელებს აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ წლიური დივიდენდი ფიქსირებული პროცენტით, რომელიც არ არის მუდმივი და შესაძლოა შეიცვალოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა გადაწყვეტილებით. პრივილეგირებულ აქციებს არ აქვს ხმის უფლება.

4.2 გამოსყიდული საკუთარი აქციები

2024 წლის 30ივნისს დასრულებულ ექვსი თვის პერიოდში ადგილი არ ქონია საკუთარი აქციების გამოსყიდვას.

5. სესხები და ობლიგაციები

საბანკო სესხები არის 1-დან 10 წლამდე ვადიანობის. ქართულ ლარში დენომინირებულ სესხებს გადასახდელი აქვთ წლიურად პროცენტის მცოცავი განაკვეთი, რომელიც უთანაბრდება რეფინანსირების განაკვეთს (2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 9.50% და 11%) დამატებული 3.5%. ევროში დენომინირებულ სესხებს აქვთ საშუალოდ წლიური 6.40%-8.62% მცოცავი განაკვეთი მიბმული 6m Euribor-ზე, დოლარში დენომინირებულ სესხებს აქვთ საშუალოდ წლიური 6.85% - 9.02% მცოცავი განაკვეთი მიბმული აშშ დოლარის 6m Term SOFR-ზე. ფიქსირებული სესხები წარმოადგენს ლარებში ნომინირებულ სესხებს და მათი განაკვეთი არის 11%. სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, სავაჭრო მოთხოვნებითა, ბიოლოგიური აქტივებით და მარაგებით.

2022 წლის ნოემბერში კომპანიამ გამოუშვა 35 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები. კომპანიას ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად TIBR3M განაკვეთს (საშუალოდ2024 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით 9.1265%) დამატებული 3.5%. ობლიგაციებზე კუპონი/პროცენტი გადაიხდება ყოველკვარტალურად. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

სესხები და ობლიგაციები ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილებას, მათ შორის დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ობლიგაციების მფლობელს/გამსესხებელს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს შესაბამისი სესხის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა ვადაზე ადრე.

ქვემოთ მოცემულია ობლიგაციებით და ცალკეული ბანკის სესხებით ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების/შეზღუდვების (ფინანსური კოეფიციენტების) ძირითადი ნაწილი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს სს ნიკორა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დონეზე, ეს

მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დაკმაყოფილებულია:

მომგებიანობიდან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი მინიმუმ (DSCR)	1.1
ფულადი ნაკადებიდან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი მინიმუმ (DSCR)	1.1
ვალდებულება EBITDA-სთან მაქსიმუმ (DEBT/EBITDA)	4.5 (4 ბანკის ხელშეკრულებით)

ერთ-ერთი ძირითადი ბანკის სესხის ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფს ნაკისრი აქვს ვალდებულება დაიცვას გარკვეული ფინანსური კოეფიციენტები, რომელიც გაიანგარიშება სპეციფიკური პრინციპით (ფასს-იდან განსხვავებული პრინციპით დაანგარიშებული მონაცემები) დაგენერირებული მონაცემებით ჯგუფის კონსოლიდირებულ და ნაწილობრივ კონსოლიდაციის დონეზე. 2023 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით კომპანიის გაანგარიშებებით გადახვევა არ დაფიქსირებულა.

6. ცვლილებები მმართველობით და სამეთვალყურეო საბჭოში

საანგარიშო პერიოდში (01/01/2024-30/06/2024) მმართველობით და წარმომადგენლობით ორგანოებში ცვლილებები არ მომხდარა.

სს ნიკორა

კონსოლიდირებული შუალედური მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 30 ივნისს დასრულებული ექვსი თვისთვის

წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სააქციო საზოგადოება „ნიკორა“-ს მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის #181/04 ბრძანების მოთხოვნებისა და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის საფუძველზე და წარმოადგენს სს „ნიკორა“-ს 2024 წლის კონსოლიდირებულ ნახევარწლიურ ანგარიშს, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობითი ანგარიშგებისაგან.

სს „ნიკორა“-ს ნახევარწლიური ანგარიში: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი.

განცხადებების ნაწილი, მოცემული ანგარიშგებაში, შესაძლებელია წარმოადგენდეს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას.

აღნიშნული სახის სამომავლო განცხადებები, ისევე როგორც გასული პერიოდის და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ გამოთქმული დასკვნები, რიგ შემთხვევაში ეფუძნება ჯგუფის მენეჯმენტის სუბიექტურ შეფასებას, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით, განხორციელებულ ანალიტიკას დაკავშირებულს ბიზნესის ისტორიულ ტრენდთან, გარემო ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ტენდენციებზე დაკვირვებას, მესამე მხარეებისგან მოპოვებულ ინფორმაციას.

ირაკლი ბოქოლიშვილი	ვასილ სუხიაშვილი
გენერალური დირექტორი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
სს „ნიკორა“	სს „ნიკორა“

ირაკლი გეჯაძე

ფინანსური დირექტორი

სს „ნიკორა“

2024 წლის 13 აგვისტო

წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სააქციო საზოგადოება „ნიკორა“-ს მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის #181/04 ბრძანების მოთხოვნებისა და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის საფუძველზე და წარმოადგენს სს „ნიკორა“-ს 2024 წლის კონსოლიდირებულ ნახევარწლიურ ანგარიშს, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობითი ანგარიშგებისაგან.

სს „ნიკორა“-ს ნახევარწლიური ანგარიში: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი.

განცხადებების ნაწილი, მოცემული ანგარიშგებაში, შესაძლებელია წარმოადგენდეს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას.

აღნიშნული სახის სამომავლო განცხადებები, ისევე როგორც გასული პერიოდის და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ გამოთქმული დასკვნები, რიგ შემთხვევაში ეფუძნება ჯგუფის მენეჯმენტის სუბიექტურ შეფასებას, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით, განხორციელებულ ანალიტიკას დაკავშირებულს ბიზნესის ისტორიულ ტრენდთან, გარემო ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ტენდენციებზე დაკვირვებას, მესამე მხარეებისგან მოპოვებულ ინფორმაციას.

ირაკლი ბოქოლიშვილი

გენერალური დირექტორი
სს „ნიკორა“

ირაკლი გეჯაძე

ფინანსური დირექტორი
სს „ნიკორა“

ვასილ სუხიაშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე
სს „ნიკორა“

2024 წლის 13 აგვისტო

ნიკორას შესახებ მოკლედ

კომპანია "ნიკორა" 1998 წელს ქართული კაპიტალით დაფუძნდა როგორც ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია და უკვე 25 წელზე მეტია კვების პროდუქტების ბაზრის უცვლელი ლიდერია. განვითარებისა და სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელების შედეგად, ამჟამად კომპანია წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს ჰოლდინგს (ჯგუფს), რომელიც აერთიანებს ქვეყნის ყველაზე ფართო სუპერმარკეტების ქსელის მქონე კომპანიას და ხორცპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, თევზეულის, რძის ნაწარმის, ნაყინის, პურ-ფუნთუშეულის, სალათების, აგრეთვე კვების პროდუქტებისა და სასმელების იმპორტიორ/დისტრიბუტორ კომპანიებს.

მუდმივი განვითარების, ხარისხის სტანდარტების ზრდის, მომხმარებელთა ლოიალურობის კვალობაზე „ნიკორა" უკვე წლებია ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი და ღირებული ბრენდი საქართველოში. ჯგუფის ყველაზე მსხვილი ბიზნეს მიმართულებებია: საცალო გაყიდვების სუპერმარკეტების ქსელი - რაოდენობის და ქვეყნის ტერიტორიაზე განშლადობის კუთხით ასევე ბაზრის ლიდერი და ხორცპროდუქტების წარმოება - ბაზრის უდავო ლიდერი საქართველოში.

კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია

სს „ნიკორა“, როგორც ჰოლდინგი, ამჟამად არის საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი საკვების მწარმოებელი და საცალო მოვაჭრე. დაარსების პირველ წლებში, როგორც მცირე ზომის ხორცის გადამამუშავებელი კომპანია, იგი მომხმარებელს „ივერიას“ და „რძიანის“ ტიპის სოსისებს სთავაზობდა. პირველი მაღაზია 2000 წელს გაიხსნა და მომხმარებელს შესთავაზა მაღალი ხარისხის სოსისისა და ლორის დიდი ასორტიმენტი. კომპანიის პროდუქციამ მალევე მოიპოვა პოპულარობა, რის შედეგადაც დაიწყო მრავალწლიანი გაფართოვების პროცესი. 2001 წელს „ნიკორამ“ دااარსა სადისტრიბუციო ქსელი. შემდგომი წლების განმავლობაში კომპანია გარდაიქმნა ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს მოთამაშედ საკვების ინდუსტრიაში. ამჟამად „„ნიკორა ჯგუფი“ არის ₾1,295 მილიონიანი ბრუნვის მქონე ბიზნესი (2023 წელი), რომელშიც 2024 წლის 30 ივნისის ბოლოსთვის 10,176 თანამშრომელზე მეტი იყო დასაქმებული (2023 წლის ბოლოსთვის 10,021) და მოიცავს საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას. კომპანიის წარმოებული ხორცპროდუქტები 91-მდე სახეობას მოიცავს, მათ შორის ნედლად შებოლილი პროდუქცია, რომელთა წარმოება მოითხოვს მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ გამოცდილებას და ცოდნას. ჰოლდინგში შემავალი კომპანიები ასევე აქტიური მონაწილენი არიან საქართველოს ისეთ ბაზრებზე, როგორიცაა თევზეულისა და ზღვის პროდუქტების, რძის პროდუქტების, პურ-ფუნთუშეულს წარმოება, აგრეთვე სხვადასხვა საკვებისა და სასმელების იმპორტი-დისტრიბუცია.

1999 წელს ოპერაციების დაწყების შემდეგ „კომპანია“ სწრაფი ტემპით იზრდებოდა. „ნიკორა“ იყო პირველი ქართული მწარმოებელი, რომელმაც ნაწარმის გაყიდვა საკუთარ ქსელში დაიწყო 2000 წელს. 2001-2002 წლებში სწრაფმა ზრდამ საკუთარი სადისტრიბუციო ოპერაციების და სტაბილური მიწოდების ჯაჭვის შექმნის აუცილებლობა განაპირობა. ამის საპასუხოდ, „კომპანიამ“ საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი შექმნა და დაიწყო ინვესტიციები გაყიდვების არეალის გაფართოებაში. მომდევნო წელს კომპანია რძის და ზღვის პროდუქტების ბაზარზე შევიდა. გურიის სოფელ ვაკიჯვარში შეიქმნა საკალმახე მეურნეობა. 2004 წელს „ნიკორა“ საკვები ნახევარფაბრიკატების ბაზარზე შევიდა და ნაყინის ბიზნესი წამოიწყო, ხოლო 2005 წლიდან დაიწყო საკვები პროდუქტების და სასმელების იმპორტი. „ნიკორა“ ასევე გახდა ერთ-ერთი პირველი ქართული კომპანია, რომელმაც მიიღო ISO 9001: 2008 და ISO 22000: 2005 (HACCP) სერტიფიკატები.

2008 წელს კომპანიამ მნიშვნელოვანი ეტაპი განვლო, როცა მან მოახდინა რძის და ზღვის პროდუქციის წარმატებული რებრენდინგი („ჩვენი ფერმერი“ და „ოკეანე“) და გააფართოვა პროდუქციის ასორტიმენტი ცომეული და გამომცხვარი პროდუქციით.

მომდევნო წლებში „კომპანია“ ახდენდა არსებული ბიზნეს-პლატფორმის ოპტიმიზაციას, აფართოებდა საცალო ქსელს და აუმჯობესებდა ეფექტიანობას.

არსებობის განმავლობაში კომპანია აფართოებდა „ნიკორა ტრეიდის“ საცალო ვაჭრობის ქსელს. ეს ქსელი 2000 წელს გაჩნდა და თავდაპირველად თბილისში კომპანიის პროდუქციის გაყიდვით იყო დაკავებული.

2024 წლის 30 ივნისისთვის ქსელში 616 მაღაზია შედის (2023 წლის ბოლოსთვის 579) და 10,000-მდე სახეობის პროდუქცია იყიდება, მათ შორის, 500-ზე მეტი სახეობის პროდუქტი „ნიკორას“ წარმოებისაა.

ნიკორა ტრეიდის სავაჭრო ობიექტების რაოდენობა



სავაჭრო ობიექტების რაოდენობა ფართების მიხედვით, 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით



წელი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024 6 თვე
ფართი მ2	19,425	20,303	23,757	36,625	47,419	56,753	64,917	81,074	101,176	106,090

ამჟამად მიმდინარეობს თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი ახალი ქარხნის მშენებლობა, რომელიც 2024 წელს დასრულდება.

განვითარების ძირითადი ეპიზოდები:

- 1998 – კომპანიის დაარსება დეკემბერში.
- 1999 - პირველი პროდუქცია იანვარში.
- 2000 - პირველი მაღაზიის გახსნა.
- 2001 - ა) სადისტრიბუციო ქსელის შექმნა;
  ბ) პირუტყვის ფერმის გახსნა.
- 2003 – ა) თევზის და რძის პროდუქტების წარმოება;
  ბ) საკალმახე მეურნეობის გაშვება;
  გ) ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტის მწარმოებელი კომპანია.
- 2004 - ა) ნახევარფაბრიკატების წარმოება - მზარეულის ბრენდი;
  ბ) ნაყინის წარმოება;
  გ) ჯილდო - "წლის საუკეთესო დებიუტანტი კომპანია".
- 2005 - ა) დასავლეთ საქართველოში გაფართოება;
  ბ) ინტრეიდის დაარსება;
  გ) ჯილდო - ,,რეპუტაცია და ნდობა".
- 2006 - ა) გაფართოება აღმოსავლეთ საქართველოში;
  ბ) ღვინის წარმოების შესყიდვა;
  გ) პალომას საფირმო მაღაზიის გახსნა;
  დ) ჯილდო - ,,ოქროს ბრენდი".
- 2007 - ა) სს ნიკორას დაარსება;
  ბ) ფოთის ოფისის გახსნა;
  გ) ჯილდო - „დარგის ლიდერი“.
- 2008 - ა) ჩვენი ფერმერის და ოკეანეს ბრენდების გაშვება;
  ბ) საკონდიტრო წარმოების ხაზის შესყიდვა;
  გ) ISO 9001:2008 და ISO 22000:2005 (HACCP) სისტემის დანერგვა.
- 2009 - ა) ხიზილალის წარმოების დაწყება;
  ბ) ჯილდოები - „ოქროს ბრენდი“ და „წამყვანი კომპანია“.
- 2010 - ა) „მასივი“-ს ქსელის შესყიდვა;
  ბ) ჯილდო - „ოქროს ბრენდი“.
- 2011-2013 - მაღაზიების ქსელის გაფართოება და მოდერნიზაცია თბილისსა და რეგიონებში.

  2014 - ა) „სანდეი“-ს, „კი ბატონო“-სა და „ჰომმარტი“-ს შეძენა;
  ბ) კახეთისა და დასავლეთ საქართველოს მაღაზიების მოდერნიზება;
  გ) ჯილდოები - „წლის ლიდერი კომპანია“ და „წლის საუკეთესო კომპანია.
- 2015 - ა) „ნუგეში“-ს და „ლიბრე“-ს შეძენა (ყველაზე დიდი ქსელის სტატუსი მიენიჭა კომპანიას);
  ბ) ცელოფნის პარკების ბიო პარკებით ჩანაცვლება;
- გ) ჯილდოები - „დარგის ლიდერი“ და „ოქროს ბრენდი“;
  დ) ელექტრონული აპლიკაციის გაშვება.
- 2016 - ა) $5 მლნ. მოზიდვა ობლიგაციების საჯარო შეთავაზებით;
  ბ) ნიკორა ტრეიდის აღიარება უმსხვილეს ქსელად;
  გ) ჯილდო - „ოქროს ბრენდი“.
- 2017 - ა) $10 მლნ. დოლარის წარმატებული ემისია საქართველოს საფონდო ბირჟაზე;
  ბ) ჯილდოები - „ოქროს ბრენდი“ (ნიკორას და ნიკორა ტრეიდის ბრენდებს);
- 2018 - ჯილდოები - „ოქროს ბრენდი“ (ნიკორა ტრეიდის ბრენდს).
- 2019 – 28 მლნ. ლარის ობლიგაციის წარმატებული ემისია.
- 2021 - კონსოლიდირებულმა აქტივებმა 415.1 მლნ ლარი შეადგინა.
- 2022 – 35 მლნ ლარის ობლიგაციის წარმატებული ემისია.
- 2023 – შპს "ნიკორა“-ს მიერ ხორცპროდუქტების ახალი თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი საწარმოს მშენებლობა.

ნიკორა ჰოლდინგის სტრუქტურა 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:



** ზემოთ მოცემულ სტრუქტურაში მოცემულია მხოლოდ მოქმედი კომპანიები.*

სრულად კონსოლიდირებული და ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას აკეთებენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ნიკორა ჯგუფს“ თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობას. ამავდროულად, „კომპანია“ დამატებით სარგებელს იღებს საკუთარ ქსელში შვილობილების პროდუქციის რეალიზაციის გზით.

„ნიკორა ჯგუფი“-ს ბიზნესი პირობითად ოთხ მიმართულებად შეიძლება დაიყოს:

ა) საცალო ვაჭრობა, რომელიც ხორციელდება სს ნიკორა ტრეიდის მეშვეობით;

ბ) კვების პროდუქტების წარმოება, რომელიც მოიცავს ხორცის, ზღვის პროდუქტების, რძის პროდუქტების, გამომცხვარი პროდუქციის, სალათების წარმოებას; საკვების წარმოებაში მონაწილეობენ შპს ნიკორა, შპს კორიდა, შპს მზარეული 1, შპს ჩვენი ფერმერი, შპს კულინარი, შპს ვაკიჯვრის კალმახი, შპს ოკეანე;

გ) დისტრიბუცია, რომელსაც ახორციელებენ შპს პარტნიორი და შპს კორიდა;

დ) სასმელების, საკვები პროდუქტების და საწარმოო ნედლეულის იმპორტი, რასაც შპს ინტრეიდი და შპს მულტიტრეიდი ახორციელებენ.

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით 2013 წლიდან.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

აქტივები

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით „კომპანიის“ სრულმა აქტივებმა ₾705 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20%-ით მეტია. აქტივების ზრდა ძირითადად მოდის ძირითად საშუალებებზე, მარაგებზე, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე, რაც თავის მხრივ განპირობებულია ახალი სავაჭრო ობიექტების გახსნით (სს ,,ნიკორა ტრეიდი“-ს სუპერმარკეტების ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოება), შვილობილი მწარმოებელი კომპანიების მიერ ინვესტიციების განხორციელებით (შპს ,,ნიკორა“-სთვის ახალი ქარხნის მშენებლობა), ასევე გაზრდილი ბრუნვისთვის საჭირო მიმდინარე აქტივების მატებით.

აქტივების განაწილება და ცვლილება



(მლნ. ლარი, 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით)



(მლნ. ლარი, 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით)

ძირითადი საშუალებები წარმოადგენს აქტივების ყველაზე დიდ ნაწილს (37%). მიწის და შენობების ღირებულება ყოველ წელიწადს დგინდება დამოუკიდებელი, შესაბამისი სერტიფიცირების მქონე, შემფასებლის მიერ. ბოლოს ასეთი შეფასება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის განხორციელდა სს „სავი"-ის მიერ საერთაშორისო შეფასების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აქტივების 23%-ს შეადგენს. 2023 წლის ივნისთან შედარებით მარაგების მოცულობა 10%-ით გაიზარდა, ხოლო 2023 წლის დეკემბერთან შედარებით მცირედით შემცირებულია.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	Jun-23	Jun-24
ღირებულება ('000 ლარი)	148,746	163,426
წილი მოკლევადიან აქტივებში	72%	72%
წილი სრულ აქტივებში	25%	23%

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის საბრუნავი კაპიტალის ძირითად კომპონენტს და მიმდინარე ვალდებულებების უდიდეს ნაწილს. 2024 წლის პირველი ნახევრის ბოლოსთვის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ჯამური მოკლევადიანი ვალდებულებების 66%-ს შეადგენდა. ამასთან, თანხობრივი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია სს ,,ნიკორა ტრეიდი"ს საქმიანობის გაფართოებით. გაფართოებული პლატფორმა კომპანიის პოზიციებს აძლიერებს და აძლევს საშუალებას უკეთესი პირობები მიიღოს სავაჭრო პარტნიორებისაგან.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	Jun-23	Jun-24
ღირებულება ('000 ლარი)	179,039	193,665
მიმდინარე ვალდებულებების ნაწილი	82%	66%

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

ჯგუფის ამონაგები ფორმირდება სავაჭრო ობიექტებიდან პროდუქციის საცალო რეალიზების და წარმოება, იმპორტი დისტრიბუციიდან საბითუმო რეალიზაციის შედეგად. ამონაგები აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში. 2024 წლის პირველ ნახევრაში ჯგუფის კონსოლიდირებულმა გაყიდვებმა ₾677 მილიონი შეადგინა, რაც 12%-ით მეტია წინა წლის პირველ ნახევარში დაგენერირებულ ₾605 მილიონთან შედარებით;

	2023 H1	2024 H1
ამონაგები	604,936	677,831
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(427,563)	(481,001)
საერთო მოგება	**177,373**	**196,830**
საერთო მოგების მარჟა	**29%**	**29%**

2024 წლის პირველ ნახევრაში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საოპერაციო, ასევე პერიოდის მოგება:

	2023 H1	2024 H1
საერთო მოგება	**177,373**	**196,830**
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	-112,288	-143,072
ადმინისტრაციული ხარჯები	-20,837	-24,699
სხვა შემოსავალი	521	2,703
საოპერაციო მოგება	**44,769**	**31,762**
ფინანსური შემოსავალი	1,303	401
ფინანსური ხარჯები	-12,356	-13,529
საკურსო სხვაობა	2,603	-7,900
სხვა მოგება ნეტო	372	521
პერიოდის მოგება დაბეგვრამდე	**36,691**	**11,255**
მოგების გადასახადის ხარჯი	-1,245	-1,385
პერიოდის მოგება	**35,446**	**9,870**